



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საარჩევნო კომისია

დადგენილება № 3

17/05/2017 წელი

ქ. ბათუმი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის  
დამტკიცების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო  
კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებაში ცვლილებების  
და დამატებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

**მუხლი 1.** „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებით (გაზეთი „აჭარა“ 23.05.2006 წ. №91) დამტკიცებულ რეგლამენტში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:  
„ზ) ინსტიტუციური განვითარების სამსახური.“.
2. მე-15 მუხლის შემდეგ დაემატოს 15<sup>1</sup> მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„15<sup>1</sup>. ინსტიტუციური განვითარების სამსახური

ინსტიტუციური განვითარების სამსახური:

- ამზადებს პასუხებს კომისიაში შემოსულ, მის კომპეტენციაში შემავალ წერილებსა და განცხადებებზე და წარუდგენს მათ კომისიას ან კომისიის თავმჯდომარეს;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს უსკოს სხდომებზე განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტებს;
- გ) აწვდის ინფორმაციას უსკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ტრენინგების, კონფერენციების ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- დ) საარჩევნო რეფორმების ხელშეწყობა;
- ე) საარჩევნო სისტემების სრულყოფის მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
- ვ) ამომრჩევლებისა და სხვა დაინტერესებული პირების სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებაზე მოწიტორინგის განხორციელება;

საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დონის ამაღლება;

თ) გეგმავს და უზრუნველყოფს ტრენინგების და კონფერენციების ჩატარებას;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გეგმავს გრანტების და სხვა აღტერნატიული დაფინანსების წყაროს მოძიებას;

კ) საარჩევნო ადმინისტრაციის რესურსების განვითარება;

ლ) ამომრჩეველთა აქტიური საარჩევნო უფლების დაუბრკოლებელი რეალიზაციის ხელშეწყობა;

მ) საგანმანათლებლო პროექტების შემუშავება და განხორციელება;

ნ) საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

ო) ასრულებს სხვა მოვალეობებს.“.

**მუხლი 2.** ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

სოფიო კახაძე

კომისიის მდივანი